1-ს ივლისს. № 13. 1885 წელსა.

# მწყემსი

ორ-კვირეული გამოცემა. ოფიციალური ნაწილი.

## წესდება საქართველოს საექსარხოსოის მართლ-მადიდებელი ძმობისა ყოვ. წმ. ღვთის-მშობლის სახელობაზე.

ჩამდვილზე დაწერილია: 1885 წელსა, 24 მაისს. «ვამტკიცებ პავლე, არხიეპისკოპოზი, ექსარხოსი საქართველოისა.»

§ 1. მართლ-მადიდებელი ძმობა საქართველოს საექსარხოსოისა არსდება ქალაქ თბილისში, სიონის კათედრის სობოროსთან, ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის სახელზე.

### 1) მიზანი ძმობისა.

§ 2- ძმობას აქვს მიზნად გაავრცელოს საქართველოს საექსარხოსოში მართლ-მადიდებელი ქრისტიანული განათლება. ამის მიმდევარე ძმობა მეცადინეობს: ა) გამართოს ღვთის მსახურების, ეკკლესიური და სხვა რელიგიურ-ზნეობით საზოგადო საგნებზე მოძღვრებანი ანუ საუბრები: ბ) გაავრცელოს საღმრთო წიგნების გამოცემა და აგრეთვე გაავრცელოს საქართველოს მხარეებში მდაბიური ენით დაწერილნი თხზულებანი რელიგიურ-ზნეობითი შინაარსისა რუსულს და ქართულს ენებზე და საღმრთო გამოხატულებანი ანუ სურათები; გ) მოაწყოს საეკკლესიო-სამრევლო სკოლების წიგნთ-საცავები და წიგნების საწყობები; დ) თავის საშუალების გადიდების დაგვარად ძმობა უწყობს ხელს მართლ-მადიდებელი ქრისტიანული ძველი სახსოვარი ნივთების შესწავლის საქმეს, ჰკრებს მათ, ნივთებს, ერთ დანიშნულს ადგილს, ანუ იღებს მათგან პირებს და სურათებს.

§ 3. თავის მოქმედების გასაძლიერებლად, საჭირო შემთხვევებში, ძმობა მმართავს მიწერ-მოწერას კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებასთან და საქართველოს საექსარხოსოს ეპარქიალური სასწავლებლების რჩევებთან.

§ 4. ჩომ უფრო გავრცელებულ იქნეს რელიგიურ-ზნეობითი კითხვები და საუბრები, გავრცელებულ იქნეს საღმრთო წერილის წიგნები, მდაბიური ენით ნაწერნი თხზულებანი რელიგიურ-ზნეობითი შინაარსისა და საღმრთო მხატვრობა, აგრეთვე საეკკლესიო-სამრევლო სკოლების წიგნთ საცავების და წიგნების დასაწყობი ადგილების უფრო ხეირიანად მოწყობისათვის, ძმობის მიზნების უფრო გასავრცელებლად და ამ ძმობის ახალი წევრების გამრავლებისათვის, შეიძლება დაარსებულ იქნენ თითოეულ ეპისკოპოზის კათედრასთან მთელს საექსარხოსოში ძმობის განყოფილებანი. უფრო ნამდვილ გამოკვლევისა და მხარის მართლ-მადიდებელი ძველი ნაშთების დაფარვისათვის ძმობა სძებნის საშუალებათა აღსაშენებლად, კანონის თანახმად, საეკკლესიო-ისტორიული მუზეუმისა, რომელსაც განაგებს თვით ძმობა.

### 2) ძმობის წევრნი.

§ 5. ძმობის წევრებად შეუძლიათ იყვნენ ყველა წოდების და ორსავე სქესის პირნი, თანამგრძნობელნი ძმობის მიზნისა და მსურველნი, რათა აღმოუჩინონ მას შემწეობა თავისი შეწირულებაებით ანუ თავის მოქმედებით. ამათში პირნი, შემომწირველნი ერთ დროებითად ძმობის სასარგებლოდ არა ნაკლებ 50 მანათისა, ითვლებიან ძმობის მუდმივ წევრებად; ისინი, რომლებსაც შემოაქვსთ ყოველ წლობით არა ნაკლებ ექვსი მანეთისა, იწოდებიან ძმობის ნამდვილ წევრებად; წარმომადგენელნი ძმობის კასაში ნაკლებ ექვსი მანეთისა, ანუ შემომწირველნი წიგნებისა და პატარა წიგნაკებისა და სხვათა, იწოდებიან ძმობის თანამგრძნობ წევრებად. პირნი, რომელნიც განსხვავებულ სამსახურს აღმოუჩენენ ძმობას და მის მიზნებს თავისი კეთილ მყოფელობითი შემწეობით და თავის შრომით ანუ დიდ ძალი შემოწირულებაებით, აღირჩევიან ძმობის საპატიო წევრებად.

§ 6. Ⴄქსარხი საქართველოისა არის ძმობის მფარველი.

§ 7. Ⴍ. მთავარ-მართებელი კავკასიისა და მისი თანაშემწე, მზრუნველი კავკასიის სამასწავლებლო ოლქისა, საექსარხოსოს ეპარქიების ყოვ. სამღვდელოები და მათი თანაშემწენი, გუბერნატორები და მაზრის უფროსები, კავკასიის გუბერნიების და თერგის სათემოის თავად-აზნაურთ წინამძღოლნი თავიანთი წოდებისა მებრ, არიან საპატიო წევრნი ძმობისა.

3) ძმობის საშუალებანი

§ 8. Ⴛმობის საშუალებათა შეადგენენ ამა წესდების მე 5 § მოხსენებულნი შეწირულებანი სხვა და სხვა პირთა.

4) ძმობის საქმეების გამგეობა.

§ 9. უმახლობელესი მმართვა ძმობის საქმეებისა ეკუთვნის ძმობის რჩევას, რომელსაც შეადგენს 8 პირი ძმობის წევრთაგან.

§ 10. Ⴛმობის რჩევის თავს-მჯდომარე ინიშნება საქართველოს ექსარხოსისაგან; დანარჩენი წევრნი ძმობის რჩევისა ირჩევიან ორი წლით საზოგადო ძმობის შეკრებილების დროს. მათ რიცხვში არა ნაკლებ ხუთი პირისა უნდა ამორჩეულ იქმნენ იმ პირთაგან, რომელნიც სცხოვრებენ ქ. თბილისში, დანარჩენნი წევრნი ძმობის რჩევისა შეიძლება ამორჩეულ იქნენ სხვა ქალაქების ანუ სოფლების მცხოვრებთაგან. გარდა ამისა, ამოირჩევიან სამი კანდიდატი თანამდებობის აღმასრულებლად, საჭიროების დროს, ავად-გამხდარი ანუ გამოუცხადებელი რჩევის წევრების მაგივრად.

§ 11. Ⴐჩევა თვის შორის ნიშნავს თავსმჯდომარის ამხანაგს, ხაზინადარს ძმობის კასის ანგარიშების გამგებლად და მდივანს ძმობის საქმეების საწარმოებლად.

§ 12. Ⴛმობის რჩევის უფრო კანონიერი მოქმედებისთვის საჭიროა დასწრება თავსმჯდომარის ანუ მისი ამხანაგისა, მდივნისა, ანუ ხაზინადრისა, და გარდა მათისა კიდევ რჩევის ორი წევრისა.

§ 13. Ⴛმობის რჩევის თავსმჯდომარე, საჭიროებისა მებრ, ნიშნავს სხდომებს—ჩვეულებრივს (ოკტომბრიდამ აპრილის დამლევამდის) და არა ჩვეულებრივს. წელიწადში ერთხელ მოხდება ძმობის წევრების საზოგადო ყრილობანი; ამისთანა კრების დრო ინიშნება საქართველოს ექსარხოსის მიერ.

§ 14. Ⴛმობის საპატიო და ნამდვილ წევრებს აქვსთ უფლება სიტყვიერად, ანუ წერილობით განუცხადონ რჩევას თავიანთი მოსაზრებანი, გარდასაწყვეტად მისი მხრით იმისა, რაც ძმობის სასარგებლოდ ჩაითვლება.

§ 15. Ⴛმობის საზოგადო ყრილობის გასახილავ საქმეებს შეადგენენ: ა) განხილვა რჩევისგან შედგენილი ყოველ წლიური ანგარიშებისა ძმობის მოქმედებაზე, მოხსენებითურთ კომისიათა, დანიშნულთა საქართველოს ექსარხოსისაგან წინად გამზადებული ანგარიშების განსახილავად; ბ) განხილვა ზოგიერთი კითხვებისა და ზომებისა, რომელნიც სასარგებლონი არიან ძმობის მოქმედებისთვის; გ) ამორჩევა ძმობის საპატიო წევრებისა; დ) ამორჩევა ძმობის რჩევის შვიდი წევრისა და მათი სამი კანდიდატისა; ე) ამორჩევა სარევიზიო კომისიისა შესამოწმებლად ძმობის ქონებისა და ყველა საბუთებისა, შესახებ შესავლის და გასავლის მუხლთა; დამტკიცებული გასავლის ხარჯისა, რომელიც სდგება ძმობის რჩევისაგან. ამასთანავე მიიღება მხედველობაში, სხვათა შორის, გადადება, შეძლებისა და გვარად, წლიური შემოსავლიდამ ცოტაოდენი ნაწილისა ძმობის სათადარიგო თანხის შესადგენად.

§ 16. Ⴐჩევის დადგენილობანი წარედგინებიან დასამტკიცებლად საქართველოს ექსარხოსს.

§ 17. Ⴛმობის საქმეების საწარმოებლად რჩევას აქვს თავის საკუთარი ბეჭედი ჯეროვანი წარწერით.

§ 18. Ⴋწერლის დასაქირავებლად და კანცელარიის საჭირო ნივთების მოპოებისათვის ძმობის რჩევა ნიშნავს ყოველ წლობით განსაზღრულ ფულს.

§ 19. Ⴗველა კანვერტებს, გარდა ფულიანებისა, და წერილებსა, ძმობის სახელობაზე მიღებულთა, იღებს რჩევის თავსმჯდომარე; ისივე აწერს ხელს ფოსტის უწყებაებზეფულებიანი კანვერტების შესახებ. უკანასკნელთ იღებს ძმობის ხაზინადარი.

§ 20. Ⴛმობის თანხა ინახება ადგილობით ხაზინაში, თანახმად 2809 მუხ. II ტ. კან. კრებ.; ამ კუთვნილ ფულების სარგებლიან ქაღალდებათ

შეცვლამდე, ფულები შეიტანებიან ხაზინადრისაგან სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, (თბილისში) პირველ მოთხოვნამდე; ხაზინადრის განკარგულებაში რჩება არა უმეტეს 100 მანათისა.

§ 21. რჩევის ყოველი წევრის მოვალეობის განსამარტებლად, განსაკუთრებით თავსმჯდომარის, ხაზინადრის და მდივნისა, საჭიროებისა დაგვარად, რჩევისაგან იდგინება შესაბამი დარიგებანი.

§ 22. ძმობის განყოფილებანი საჭირო შემთხვევებში მოქმედებენ ამა წესდების თანახმად.

§ 23. ძმობის განყოფილებანი იხსნებიან საექსარხოსოს ადგილობითი ეპისკოპოზების შეხედვისა მებრ და მოქმედებენ თავიანთ რაიონში.

§ 24. ძმობის მოქმედებათა ერთობის დასაცველად, ადგილობითი განყოფილებანი მოიყვანენ სისრულეში თავიანთ მოსაზრებათა მათის დამტკიცების შემდეგ საქართველოს ექსარხოსის მიერ.

§ 25. წლის დამლევს ადგილობითი განყოფილებანი ადგენენ ანგარიშებს თავიანთ მოქმედებაზე და ადგენენ მათ ძმობის რჩევაში.

§ 26. ძმობის განყოფილებათა საქმეების უმახლობელესი წარმოება შეიძლება მიენდოს რჩევას, რომელიც უნდა შესდგეს 4 წევრისაგან, მათ რიცხვში თავსმჯდომარის და ხაზინადრის და საჭიროების დროს, საქმის მწარმოებელისაგან.

§ 27. გამოცდილების მიხედვით, რჩევა ძმობისა ადგენს შემდეგ დროებში პროექტებს ძმობის წესდებაში მოსახდენელ ცვლილებათა შესახებ, რომელნიც, ცვლილებანი, შემდეგ საზოგადო კრებისაგან განხილვისა და მოწონებისა, მტკიცდებიან ჯეროვანი წესით.

---

## წესი შესახებ ქალების მიღებისა თბილისის ეპარქიალურ საქალებო სასწავლებელში მისი მაღალ ყოვ. უსამღვდელოესობის იოანიკეს, მოსკოვის მიტროპოლიტისაგან დაარსებულს სტიპენდიებზე.

1) მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მიტროპოლიტის იოანიკესაგან დაარსებული სტიპენდიები სასწავლებლის სამს ნორმალურს კლასში არის 18 და მოსამზადებელ განყოფილებაებში 6.

2) თავისუფალ სტიპენდიაზე სასწავლებლის რჩევა ნიშნავს და იღებს კანდიდატებს ყოველს დროს წლის განმავლობაში; ამასთანავე რჩევის მოვალეობას შეადგენს ადრითვე შეკრიბოს ნამდვილი ცნობები მთხოვნელებზე.

3) თანახმად შემწირველის სურვილისა, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის იოანიკისა აღნიშნულ სტიპენდიებზე მიიღებიან სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთა ქალები თითოეული ეპარქიიდამ ოთხ-ოთხი; ე. ი. იმერეთის ეპარქიიდგან ოთხი, სამეგრელოსაგან ოთხი, გურიისაგან ოთხი და ქართლის ეპარქიის თითოეული სამასწავლებლო ოლქის სამღვდელოებისაგან—თბილისის, გორის და თელავისაგან ოთხ-ოთხი იმ პირობით, რომ სამი სტიპენდია უსათუოდ უნდა ეძლეოდეს ხოლმე მღვდლის შვილებს და ერთი ეკკლესიის მოსამსახურეთ შვილებს.

4) სტიპენდიების დანიშნვის დროს უნდა მიღებულ იქნეს სახეში უკიდურესი სიღარიბე მოსწავლე ქალთა და მათი სიობლე.

5) თუმცა სტიპენდიის მთხოვნელი უკვე სწავლობს სასწავლებელში და თავის იქ მყოფობის დროს გამოიჩინა კაი მეცადინეობა და ყოფაქცევა, მაშინ მას სტიპენდიის დანიშვნის დროს ეძლევა უპირატესობა სასწავლებელში ახლად შემომსვლელ პირთა წინაშე.

6) თუმც ერთს და იმავე სტიპენდიაზე ბევრი მთხოვნელია, სასწავლებლის რჩევა იღებს მხედველობაში, თუ რომელ მთხოვნელთაგანს უფრო შეძლებული ნათესავები ჰყავს, რომელთაგან მთხოვნელს შეუძლია მიიღოს შემწეობა.

7) როცა რომელიმე ქალს სტიპენდიას უნიშნავენ, სასწავლებლის რჩევა პირობას ართმევს სტიპენდიატების მშობლებს, რომ მათ უკანვე უნდა წაიყვანონ სტიპენდიატები, თუმც ისინი სწავლით და ყოფაქცევით არ იქნებიან მოსაწონი.

8) მოსწავლე ქალების უკიდურეს სიღარიბეზე სასწავლებლის რჩევა ჰკრებს ცნობებს ბლაღოჩინებიდამ, რომელთა მოწმობა წარმოდგენილ უნდა იყოს თხოვნასთან ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9) დანარჩენ შემთხვევებში სასწავლებელის რჩევა ხელმძღვანელობს უწინდელი დადგენილობაებით—რომელიმე საეჭვე კითხვის დროს კი რჩევა მიიქცევა კითხვის გასამარტებლად მისს მაღალ ყოვ. უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსისადმი.

თბილისის ეპარქიალური საქალებო სასწავლებლის ინსპექტორი ალბოვი.

---

## გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსაგან.

ვისაც სურს გორის სასულიერო სასწავლებელში ბავშის შემოყვანა, თხოვნა უნდა წარმოადგინოს სასწავლებლის სამმართველოს სახელზედ აგვისტოს ოცდა ხუთამდის. მიღების მოსურნე ყმაწვილები, რომელთათვისაც საჭირო იქნება, გამოიცდებიან აგვისტოს ოცდა მეშვიდე დღეს; ყმაწვილები, რომლებსაც არ ექნებათ მეტრიკის მოწმობა წლოვანებაზე და აგრეთვე ყვავილის ხდისა ან აცრის მოწმობა, სასწავლებელში არ მიიღებიან.

გორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი დავით დათოშვილი.

---

## მართლ-მადიდებელი სასულიერო სასწავლებლების წესდებულება.

### თავი VII.—ზედამხედველის თანაშემწეზე.

§ 58. ზედამხედველის თანაშემწე ინიშნება ეპარქიის ყოვლად სამღვდელოს წარდგინებისა მებრ უწმიდესი სინოდის მიერ.

§ 59. ისწავლის რა საღმრთო ისტორიას, ზედამხედველის თანაშემწე თანაზიარობს ზედამხედველთან შრომათ სასწავლო-აღზრდით და სამეურნეო ნაწილთ შესახებ სასწავლებლებში, რისთანავე ყველა შემთხვევაში იქცევა მის ჩვენებათა მებრ და აძლევს მას ანგარიშს თავიანთ მოქმედებებში.

§ 60. ზედამხედველის ავადმყოფობის ან სხვაგან მყოფობის დროს, თანაშემწე ასრულებს მისს თანამდებობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ზედამხედველობის დასახმარებლად სასწავლებელში შეიძლება დაწესებულ იქმნეს თანამდებობა თავსმდეგთა (надзиратели) სემინარიის კურს შესრულებულთაგან პირველ რიგში, რომელთაც ამწესებს ეპარქიის ყოვლად სამღვდელო, ზედამხედველის და მისი თანაშემწის რეკომენდაციისა მებრ სამი თვის გამოცდის შემდეგ.

### თავი VIII.—მასწავლებლებზე.

§ 61. სასწავლებლების მასწავლებლები მწესდებიან თანამდებობაზე სასწავლო წლის დასაწყისს უწმიდესი წინოდის მიერ, წარდგინებათა მებრ აკადემიის რჩევათა, ხოლო სასწავლო წლის განმავლობაში უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორისა, სასწავლო კომიტეტის მოხსენებათა მებრ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. როდესაც აკადემიაში განათლებული პირნი არ აღმოჩნდებიან, მაშინ მასწავლებლის თანამდებობათა აღსასრულებლად დაიშვებიან სემინარიის სტუდენტები, სემინარიის სამმართველოს რეკომენდაციისა მებრ, რომელთაც ამტკიცებს ყოვლად სამღვდელო.

§ 62. შეუძლიათ მოპატიჟებულ იქნენ სწავლებისათვის სასწავლებელში, ეპარქიის არქიერის ყოვლად სამღვდელოს დამტკიცებით სხვა უწყებათა მასწავლებელნიც, სასყიდლის დანიშნვით მათთვის მათის შეთანხმებისა მებრ სასწავლებლის სამმართველოსთან.

§ 63. მასწავლებლები ღვთის-მეტყველების მაგისტრის და კანდიდატის ხარისხით, იმპერიის სხვა მაღალ სასწავლებელთა სამეცნიერო ხარისხებით, ან მოწმობებით სწავლების უფლებაზე საშუალო სასწავლებლებში, მქონებელნი 12 გაკვეთილამდი კვირაში იღებენ შტატით დადებულს ჯამაგირს (700 მ.), ხოლო ნამსახურნი ხუთ წელს—მომატებულს (900 მან.), აკადემიის ნამდვილი სტუდენტები და სემინარიის სტუდენტები კი დამცირებულს (420), რის თანავე თითოეულს წლიურს გაკვეთილში, უმეტეს 12, დადებულია—დამატებითი სასყიდელი პირველთ 50 მან. და ხუთის წლის ნამსახურთ 60 მან., მეორეთ 20 მან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეს ჯამაგირი შეიძლება მომატებული იქმნეს ადგილობრივ საშუალებათაგან, ეპარქიის არქიერის დამტკიცებით, თუ სამღვდელოების შეკრებილება დაინახავს ამას შესაძლებლად და საჭიროდ.

§ 64. თვითოეულმა მასწავლებელმა უნდა ასწავლოს თავის საგანი დაწესებულ პროგრამით და სახელმძღვანელოით და არ იხმაროს წერილობითი დამატებები მისდამი (სახელმძღვანელოისადმი), თუ უკიდურესი საჭიროება არ მოითხოვს.

1-ს ივლისს. წელიწადი მესამე. 1885 წელსა.

# მწყემსი

№ 13.

ორ-კვირეული გამოცემა. არა ოფიციალური ნაწილი.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი" რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцію „Микемси" (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდად, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

## მწარე ფიქრები.

გათავდა სწავლის წელიწადი. მშობლები სიხარულით ელოდებიან თავიანთ შვილებს შინ, მაგრამ მრავალ მშობელთა სიხარული მწუხარებად იცვლება!... წელიწადი გავიდა, მეორე წელიწადიც გათავდა, მაგრამ ზოგი თავისი შვილის წარმატებას ვერ ხედავს. შინიდამ წასული შვილი ზნეობიანი და ზრდილობიანი, ხშირად, უკან მოუდის მშობელს ზნეობით გაფუჭებული, ხასიათ წამხდარი და გამოცვლილი. ძნელი წარმოსადგენია მშობლების მწუხარება ამ შემთხვევაში...

მშობელი გაოცებული უყურებს შაგირდების მეუფროსეთაგან მიცემულ მოწმობაში ყოფა-ქცევის ცუდ ნიშანს და ვერ აუხსნია, თუ რა ჩაიდინა მისმა შვილმა ამ დასმული ცუდი ნიშნის ღირსი. რასაკვირველია, პირველი ადგილი, სადაც ყმაწვილს კეთილ-ზნეობრივი მიმართულება უნდა ჩაენერგოს, არის ოჯახი, დედ მამის სახლი. თუ აქედამ ყმაწვილი უზნეო გაემგზავრა სასწავლებელში, ისეთივე უზნეო მოვა შინ. მაგრამ, სამწუხაროდ, არა ერთ მაგალითს ვხედავთ ჩვენ, რომ ოჯახიდამ წასული ყმაწვილი, კეთილ-ზნეობით შემკული, სწავლის შემდეგ მოდის შინ, მაგრამ დედმამა თითქმის ველარა სცნობს თავის შვილს. რამდენიც უნდა გაიმართლონ თავი ამისთანა შაგირდების აღმზრდელებმა, მაინც არ შეუძლიათ მათ სთქვან, რომ მათაც არ ედებოდესთ ბრალი შაგირდების უზნეობაში და ნამეტურ უსწავლელობაში.

ყველამ კარგად იცის, რომ მასწავლებლობის თანამდებობისთანა ძნელი ასასრულებელი არასფერი თანამდებობა არ არის. მასწავლებელს არ შეუძლია თავისი მოვალეობის აღსრულება რიგიანად, თუ მას ჳანსაკუთრებით თან არ დაჰყოლია ბუნებითად სიხალისე ამ ძნელი მოვალეობის აღსრულებისათვის და მასთან თუ ის თვითონაც არ არის შემკული მოთმინებით, სწავლით და კეთილზნეობით.

ეს უკანასკნელი თვისებანი თვალსაჩინოდ აკლიათ ზოგიერთ ჩვენ პედაგოგებს დაამიტომაც მათი ნაკლულევანების ნაყოფი ასე აშკარად შესამჩნევია ეხლანდელი დროის მოსწავლე ყმაწვილთა შორის.

რას ვხედავთ ჩვენ, სამწუხაროდ, ზოგიერთ პედაგოგების საქციელში? ზანა ყველა მათგანს აქვს

სიხალისე და მიმზიდველობა პედაგოგიის ასპარეზისადმი? რა ბრძანებაა!.. ერთი მიდის პედაგოგათ მიტომ, რომ სხვა თანამდებობა ვერ უშოვნია. მეორე მიდის პედაგოგად მისთვის, რომ ბევრი ჯამაგირი აიღოს, ანუ რომელიმე უფროსობის ადგილი ჩაიგდოს ხელში. ზოგს თავის საგნის სრულებით არაფერი გაეგება, მაგრამ იმედი აქვს შემდეგ შეისწავლოს. ზოგი გაფუჭებულია ზნეობით, მაგრამ თავის უზნეობას ფარავს მეუფროსეთა წინაშე განუსაზღვრელი მორჩილებით და ყურმოჭრილ-მოსამსახურეობით და მონობით. მაგრამ დროით თუ უდროვოთ ამისთანა პედაგოგების ნაყოფი მალე იჩენს ხოლმე თავს ახალ-მოზარდე ყმაწვილებში და, საბოლოვოთ, მოაქვს მწარე ნაყოფი.

ნორმალური მოვლენაა თუ არა, როდესაც კლასში უფრო მეტი სუსტი ცოდნის არიან? რით უნდა აეხსნათ ის, რომ ერთი მასწავლებელი შაგირდებს ძლიერ უყვარს, მაგრამ მეორე კი სრულებით არ უყვარსთ? ამ კითხვების მიგებას მე ვგონებ, დიდი დაფიქრება არ სჭირდება... ეხლანდელ დროში ზოგიერთ პედაგოგებს ნამეტნავად აკლიათ გრძნობა. ზოგიერთში ისე გამომშრალა სიყვარულობის გრძნობა და შებრალება, რომ შაგირდს ისე უყურებს, როგორც უსულო საგანს და ჰგონია, რომ შაგირდსაც იმასავით აქვს გამქრალი გრძნობა. ამისათვის სწავლება ზოგიერთ ადგილას არ მიდის რიგიანად და უსწავლებლობის გარდა გვესმის სხვა-და-სხვა სამწუხარო ამბები მოსწავლეთაგან მასწავლებელთათვის უპატიურების მიყენებაზე. ამისთანა სამწუხარო მოვლენას ეხლანდელ დროში სხვა მნიშვნელობა და მიმართულება ეძლევა, რომელნიც მწარე ფიქრებს ჰბადავენ ყველა ჭეშმარიტ მამულის შვილში. რიგია ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღება მიაქციონ დროით, რომ შემდეგში ღმერთმა დაგვიფაროს უფრო უარესისაგან...

## წერილი რედაქტორთან.

ბატ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს პატივცემულს გაზეთში ამ მოკლე შენიშვნას.

ივნისის 6-ს მწვანეყვავილის ეკკლესიის სასაფლაოზედ სთხრიდენ საფლავს გარდაცვალებულის მიქელ დადუნაშვილის შვილის დასამარხავად. სასაფლაოს სთხრიდენ მწვანეყვავილაშიდვე მცხოვრებნი გლეხნი: ივანე მალლაფერიძე, კოსტა შყრეშიძე და მიხეილ ჩხიკვაძე. მოსთხარეს რა ერთ არშინ ნახევარზედ, მათ შეხვდათ ცოტაზე მოსატეხი ქვა, რომლის მიზეზისგამო მათ ხელი აუშვეს მუშაობას და გადასწყვიტეს მიცვალებულის დასაფლავება. იმ დროს მივიქეცი მე მათთან და გულით ვსთხოვე, რომ მოემატებინათ სიღრმე სამარისთვის, რადგან ყველა ახლო-მახლო მცხოვრებლები ვგრძნობთ, თითქმის ყოველს ღამეს, ამომავალს ამისთანა ზემო დასაფლავებული მიცვალებულის მძორის სუნსა, და კიდევაც დავპირდი მათ გირვანქა წამლის მიცემას ქვის გასამტვრევათ, მაგრამ ერთმა მათგანმა—მალლაფერიძემ კიდევაც ბევრი უჯერო სიტყვები მითხრა, გამლანძღა და გამიშვა. დანარჩენს შყრეშიძეს და ჩხიკვაძეს ვსთხოვე, რომ მიცვალებული, რომელიც იქვე კუბოში ესვენა, არ დაესაფლავებიათ იმ დრომდი'ინ, მინამ მე არ მივიქცეოდი, სადაც ჯერ იყო და განკარგულება მოხდებოდა; მაგრამ რა კი გამისტუმრეს ბაზრისკენ, მათ თავისი სურვილი შეესრულებინათ: კუბო ჩაედოთ და მიწა წაეყარათ. მიველი ადგილობრივ პრისტავთან, რომელიც იმ დღეს დეჟურნათ ყოფილიყო პოლიციაში, მაგრამ იმ დროს, საუბედუროთ, სადღაც სამსახურის გამო წყალწითელასკენ წასულიყო, როგორც მითხრეს დესეტნიკებმა. მერმეთ განუცხადე ქუთაისის სანიტარულ კომმისიის თავსმჯდომარეს თ. ჭავჭავაძეს; მან თუმც მაშინვე გააგზავნა სანიტარი ამ საქმისათვის, მაგრამ რაღა დროს, ეკკლესიის გალავანში ერთი კაციც არ ჭაჭანობდა და მკვდარი დასაფლავებული იყო.

ეხლა, მკითხველო, უნდა მოგახსენო, თუ როგორ გულ-გრილად ექცევიან ამისთანა უწესოებას თვით იმ ეკკლესიის მოსამსახურენი: მღვდელი, მამა შელიავა, ყურადღებას არ აქცევს ამ საქმეს და სტაროსტა, რომლის პირდაპირი მოვალეობა არის ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს, ზრუნავს მხოლოდ სასაფლაოზედ მიუძღვეს მკვდრის პატრონს, ევაჭროს, ეჯიჯლინოს და რაც შეიძლებოდეს ძვირად მიჰყიდოს ალაგი, პრიჩეტნიკი და პონომარი აბა რაღა ღვაწლს დასდებენ ამ სამადლო საქმეს.—საცოდავი ქრისუფალი ფულს იხდის საფლავის გაჭრისთვის და ამათთანა ზარმაც კაცებს, როგორც ზემოხსენებულთ, მალლაფერიძეს, ჩხიკვაძეს და შყრეშიძეს რა ენაღვლებათ, მათ უნდათ ფულები ჯიბეში ჩაიჩხრიალონ და საქმეს მალე მორჩენ; ღრმა იქნება სასაფლაო, თუ არა, მისი დარდი არა აქვსთ, ოღონდ კი მიცვალებული დამალონ მიწაში და სხვა ფეხებზედ კიდიათ. ვნება, რომელიც შეუძლია მოიტანოს ამ

სიზარმაცემ, იმათ კარგათ ესმისთ, მაგრამ სხვის წახდენას რას ჩივიან, თვითონ კი ორ ორ ვერსტის სიშორეზედ სახლობენ და ამ გვარ სუნს, რასაკვირველია, ვერ შეიტყობენ. საფლავის გამჭრელებათ არიან ყოველს შემთხვევაშიდ მამა შელიავას მრევლთაგანნი, (აბა ახალციხელებს იქ მისთვის არავინ არ მოიყვანს) მაშასადამე, მღვდელს—მოძღვარს თავის მრევლზე დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს; მას შეუძლია დარიგებით შეაგონოს და თუ არ შაიგონებენ უბრძანოს და ისე გააკეთებინოს, მაგრამ ეს უნდა მიეწეროს დაუდევნელობას როგორც მღვდლისას, ეგრეთვე სტაროსტისას. თუ ვინმე სამხედრო ნაწილის ჩინოვნიკი გარდაიცვლება, მაშინ გზავნიან საფლავის გასაჭრელად სალდათებს, რომლებიც არასფერ შემთხვევაში არ გასჭრიან $2\frac{1}{2}$ არშინზედ ნაკლებს, თუმცა ლა კი იმათ, როგორც ჩვენებურებს არც ლალუმის გატენა და არც მისი დაცლა არ ემარჯვებათ. ეკკლესიის პატრონს მამა შელიავას ადვილად შეუძლია, რომ დაარსოს ეგრეთი წესი: მოსძებნოს ერთი პირი და მიანდოს საფლავის გაჭრა ამ ეკკლესიის გალავანში. ამისთანა პირი ბევრი მოიძებნება. ბევრი ამბობს: თუ ჩვენ მოგვანდობს მიწის გაჭრას ყოველ აქ დასასაფლავებელ მიცვალებულისათვის, შევიტანთ წელიწადში 30—40 მან. ეკკლესიის სასარგებლოდო და სამ არშინზედ ნაკლებს არასოდეს არ მოვთხრითო.

ყველა მიხვდება მას, რა ვნება შეუძლია კაცის სიმრთელეზე ნამეტურ მიცვალებულის მძორის სუნსა; ყველამ იცის, რომ გარეშემო ამ სასაფლაოისა სცხოვრობენ მოსახლეები, რომლებიც მოუთმენლად მოელიან იმ დროს, როცა მოისპობა აქ სასაფლაო.

აქ იმარხებიან გარდაცვლილნი სხვა-და-სხვა გადამდების სნეულებისაგან (ყვავილით, წითელათი, კისერათი და სხვ.); ბევრჯელ მომხდარა მაგალითი, რომ სამარის თხრის დროს მიცვალებულების ძვლები, ტანისამოსები და კუბოს ფიცრები ამოუღიათ და მერმე ახალ დასაფლავებულ მიცვალებულთან ჩაუგდიათ. მაშა სადამე ამ გვარი მოქმედებისაგან ადვილათ შესაძლოა გაჩნდეს გადამდები სნეულება.

საჭიროა, ამაზედ ეხლა მაინც მიაქციონ ყურადღება, რადგან ყველა ქალაქი საკმაოდ ემზადება, რომ ბატონი ხოლერა არ ესტუმროთ.

მწვანეყვავილელი.

## მწყემსისაგან მწყემსთადმი წერილის გამო.

ჩვენი გაზეთის რუსულ დამატების 1 და 2 №№ დაბეჭდილმა სტატიამ: «მწყემსისაგან მწყემსთადმი» გამოიწვია შორაპნის მაზრის უფროსისაგან ერთი სტატია, რომელიც რუსული დამატების მეოთხე №-ში იყო დაბეჭდილი. რადგან ეს სტატია არის დაწერილი რუსისაგან, რომელმაც დაახლოვებით იცის ჩვენი ხალხის ზნე და ჩვეულება, ამიტომ მოგვყავს ამ სტატიის შინაარსი: «მწყემსი» აგონებს თავიანთ მოძმეთ, რომ ქადაგებითი სიტყვას წინანდელს დროში უფრო დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული სამღვდელოებისაგან. ეხლა კი ჩვენს მართლ-მადიდებელ ეკკლესიებში ქადაგებითი სიტყვა აღარ ისმის. ეს ნამდვილი ჭეშმარიტება არის და ამის წინაალმდეგის თქმა არც კი შეიძლება.

ახლა განვიხილოთ, თუ რა ცუდი შედეგები მოჰყვა ქადაგებითი სიტყვის მოსპობას. აი ეს შედეგები: კვირა-უქმე დღეებში ეკკლესიები ნახევრობით ცარიელნი არიან, მათში სამწყსო არ დაიარება; ხალხი მიუხედავად ცუდი ამიდისა და შორეული გზისა, ხშირად ოც ვერსტზე, მირბის დაბებში და ქალაქებში ნაცვლად იმისა, რომ ღვთის მოწოდებისა შებრ, რომელიც გამოხატულია მეოთხე მცნებაში, წავიდეს ტაძარში და იქ ადიდოს ყოვლად მოწყალე ღმერთი და ღვთის სიტყვით თავის გონება გაინათლოს.

რა მიაქვს ბაზარში ამ ხალხს, რომელიც ათასობით მიეჩქარება ბაზრებში და რა უნდა, რომ მოიგოს? თითოეულს მათგანს მიაქვს ხუთი ანუ ათი ვაშლი, სხალი, სამიოდე კომში, ათიოდე კვერცხი, ქათამი, მწვანეულობა, ერთი ბათმანი სიმიდი, ერთი ანუ ორი გირვანქა ბამბა და სხვა. აი ჩვეულებრივი სავაჭრო აქაური დაბებისა. ამ სავაჭროში გამყიდველი იღებს რამოდენიმე კაპიკს, ანუ მანეთს. მიდიან ბაზრებში ბევრი ისეთებიც, რომელთაც გასასყიდლად არასფერი არ მიაქვსთ და არც სასყიდელი რამე აქვსთ, მხოლოდ მიდიან, რომ ხალხს შეხედონ და ან რამე სანახავები ნახონ. და ამით დავიწყებული აქვსთ მეოთხე მცნება! და ვინ სჩადის ამას? ამას სჩადის მართლ-მადიდებელი ქართველი ხალხი, რომელიც თავის სარწმუნოებისათვის რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში თავდადებული იყო და ებრძოდა მუსულმანებს, რომელნიც მეცადინეობდნენ მიელებინებიათ ქართველი ერისათვის თავის სჯული.

მაგრამ ამ ძლიერმა ისლამმა, რომელმაც დაიმორჩილა მთელი აზიის ხალხი, ვერა გაარიგა რა ქართველ ხალხთან, რომელმაც თავისი სამშობლო შეღება ურიცხვი მოწამეთა სისხლით ქრისტეს და მართლ-მადიდებლობისათვის.

ახლა კი, როცა ეს ხალხი განთავისუფლდა მუსულმანთა დევნისაგან და შეიქნა თავისუფალი, როცა მას თავისუფლად შეუძლია აღიაროს ქრისტე და მართლ-მადიდებლობა, მან დაივიწყა ღმერთი, რომელიც მას ეწეოდა და ბოლოს განათავისუფლა მტერთა დევნისაგან. და აი ამ ხალხმა ეხლა მთლად დაივიწყა ღვთის ტაძრები. ქართველს ხალხს აღარ ახსოვს, რომ მათი ტაძრები უწინდელ დროში სავსენი იყვნენ მათი ღვთის მოყვარე წინაპართაგან, რომელნიც ადიდებდნენ ქრისტეს და ევედრებოდნენ მასს თავიანთი მტერებისაგან დახსნას.

ქართველი ხალხი, რომელიც ერთ დროს თავისი მტკიცე სარწმუნოებით აკვირებდა მუსულმანთ და ებრაელთ და ითმენდა ყოველივე წვალებას და დევნას იესო ქრისტეს და მართლ-მადიდებლობისათვის, ეხლა იგი ამავე ხალხს აკვირებს თავის გულ-გრილობით თავიანთ ეკკლესიისადმი... მუსულმანები და ურიები გაკვირვებით უცქერიან ეხლა ქართველებს, რომელნიც უწინ მტკიცედ იდგენ ქრისტეს სწავლაზე და ეხლა კი უმაღლესი მთავრობის მოწერილობათა ძალით ერეკებიან ამ ხალხს ბაზრებიდამ და იწვევენ ტაძრებში ღვთის სიტყვის მოსასმენად. ჭეშმარიტად რომ დიდი ცვლილება მოხდა! ახლა გადავავლოთ თვალი სამსჯავროებს და პოლიციის დაწესებულებათა. ხშირად მსაჯულს იწვევენ სადაო ადგილის პირ-და-პირ დასახედავად და სადაო საქმის გადასაწყვეტად. რას ხედავს მსაჯული, რომელმაც მოწმების შემწეობით საქმე რიგიანად უნდა გადასწყვიტოს. როგორც მომჩივანს აგრეთვე მოპასუხეს მოჰყავთ თავიანთი მოწმები, რომელნიც მეცადინეობენ, რომ თავიანთი მხარე გაამართლონ და ამიტომ მზათ არიან სიცრუეზე დაიფიცონ. ამ ფრად ეს მოწმები, მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი, თავისი ცრუ მოწმობით აყენებენ მსაჯულს გამოურკვეველ მდგომარეობაში, რომლის გამო ის ხშირად მტყუანის სასარგებლოდ სწყვეტს საქმეს და მოწმები კი სინიდისის წინააღმდეგ ჯვრის და სახარების წინაშე იძლევიან ცრუ ჩვენებას მეცხრე მცნების წინააღმდეგ.

ამისთანა ცრუ მოწმობა რომ იშვიათად ხდებოდეს, კიდევ არასფერი, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ცრუ ფიცი ძალიან გავრცელებულია ყველგან. ასე, რომ ცრუ მოწმობა ჩვეულებრივ მოვლენად გახდა. ეს მოვლენა ყველას ისე შეეთვისა, რომ არავის არ აწუხებს იგი. ხშირად ცრუ მოწმები თავის გასამართლებლად ამბობენ, რომ ისინი იძულებულნი არიან სიცრუვე უჩვენონ, რადგან ეშინიათ რომელიმე მოდავე მხარისა. განსაკუთრებით ცრუ ფიცი გახშირებულია, როცა ვინმე სისხლის სამართალში არის მიცემული. ხშირად დამნაშავეთ თავდებით ანთავისუფლებენ მსაჯულები და პროკურორები. მართლაც ეს თავდებობით გამოშვებულნი პირნი მეცადინობენ, რომ იმ მოწმებმა, რომელნიც ნაკითხნი იყვნენ წინა პირველ გამოძიების დროს და რომელთაც სიმართლე უჩვენეს სასამართლოში, საქმის გარჩევის დროს მათ სასარგებლოდ უჩვენონ. თუ მოწმები დათანხმდენ ამაზე, ხომ კარგი და თუ არა, მაშინ ემუქრებიან მათ და უქადიან გადაწვას ანუ სიკვდილს. ამ საშუალებით ბევრი დამნაშავე უსხლტება ხელიდამ მართლ-მსაჯულებას. ცრუ მოწმების ამფერი თავის გამართლება მართალიც არის, მაგრამ ეს ცრუ მოწმენი ივიწყებენ, რომ მათი მხნე წინაპარნი მზათ იყვნენ ეწამნათ, ვინემ ცრუ მოწმობა მიეცათ და ამიტომ პატიოსნად ასრულებდნენ თავიანთ მოქალაქობრივ და ქრისტიანულ კანონებს. ისინი სიკვდილს ამჯობინებდნენ სამარცხვინო ცრუ მოწმობას.

თუმც ცრუ ფიცი ძალიან გახშირებულია ხალხში, მაგრამ მისი მოსპობა შეიძლება სამსაჯულოებში. ამისათვის საჭიროა სამსაჯულოებში შემოიღონ ფიცი ხალხის ჩვეულებისა მებრ, რომელიც არსებობს ხალხში დაუვიწყარი დროიდამ. ხალხში ჯვრის და სახარების მაგიერ იფიცებენ რომელიმე ადგილობითი სასწაულთ მოქმედ ხატის წინაშე. ჩემი დიდი ხნის სამსახურის განმავლობაში შემინიშნავს, რომ სახარების და ჯვრის წინაშე ფიცს აქაური ქრისტიანენი რუსულ ფიცს ეძახიან და არასფერ მნიშვნელობას არ აძლევენ ამ ფიცს და ამიტომ უჩვენებენ სიცრუეს. ჩვენ გვგონია, რომ სამსაჯულოებს და მათში საქმის წარმოებას არას ავნებს ის ფიცი, რომელიც ხალხში ჩვეულებათ არის. გარდა ამისა პირ-და-პირი სამღვდელოების მოვალეობაა გააგებინოს ხალხს, რომ ჯვარზე და სახარებაზე ფიცი არის ნამდვილი. გარდა ამისა ბევრი საგნებია, რომლებსაც მწყემსთა უნდა მიაქციონ თავიანთი ყურადღება; მაგალითებ: მშობლები მუდამ უჩივიან შვილებს ურჩობას და პატივის უცემლობას; ხშირად შვილები ჰყრიან თავიანთ მშობლებს სახლიდგან. მეზობლები უჩივიან ერთმანეთს. ესეთი განწყობილება მშობელთა და მათ შვილთა შორის რომ კანონიერი არ არის, ამაზე თვითონ მწყემსნი დაგვეთანხმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიან. იგინი დაგვეთანხმებიან აგრეთვე, რომ ამ ფერი საქციელი არ შეშვენის მართლ-მადიდებელ ხალხს. მწყემსის მოვალეობა დიდია და ვრცელი, მაგრამ ამ ვრცელი მოვალეობისთვის მათ მოელისთ საქები ღვაწლი, რომელიც მდგომარეობს მასში, რომ მწყემსთა აღადგინონ ხალხში მათი წინაპრების მტკიცე სარწმუნოება. უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელიც არის უხილავი თავი მართლ-მადიდებელი ეკკლესიისა, იქნება შემწე მწყემსთათვის მათ წმიდა საქმეში; მწყემსებმა მხოლოდ ყურადღება უნდა მიაქციონ ქადაგებითი სიტყვას. ამასთანავე სამღვდელოებას უნდა მოვაგონოთ, რომ აქაური ხალხი სიხარულით ეგებება ყოველივე კაი საქმეს; ამიტომ ის სიხარულით დაიწყებს ტაძრებში სიარულს და გულ-მოდგინეთ მოისმენს მწყემსთაგან სწავლა-დარიგებას.

## გლეხებისათვის სამკურნალოს გახსნა დ. საჩხერეში. (შორაპნის მაზრაში).

2 ივნისს დ. საჩხერეში გაიხსნა ოფიციალურად სოფლის სამკურნალო. ამ დღეს შეიკრიბენ დ. საჩხერეში გუბერნატორის წარმომადგენელი, გუბერნსკის სამმართველოს სოვეტნიკი ბ. ზერარდი, გუბერნსკის ექიმი ალბრეხტი, მაზრის უფროსი ი. ეფიმოვსკი, ახლო-მახლო მამასახლისები და საზოგადოება. შუა დღის დროს სამკურნალოში გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი ჯრუჭის წინამძღვრის არქიმანდრიტის სიმონისაგან სხვა სამღვდელოების თანა დასწრებით. პარაკლისის შემდეგ გუბერნატორის წარმომადგენელმა ბ. ზერარდიმ საზოგადოებას განსაკუთრებით გლეხებს აუხსნა თავის სიტყვით დანიშნულება და მიზანი ამ ახლად გახსნილი სამკურნალოისა; განუმარტა მათ, თუ რამოდენად ზრუნავს ხელმწიფე გლეხებზედ და რა ღონის ძიებას ხმარობს მათი კეთილდღეობისათვის. ბოლოს იმედი განაცხადა, რომ საზოგადოება ამ კეთილისათვის გამოუჩენს მას ჭეშმარიტ ერთგულებას და თავიანთ შვილებს შთაუნერგავს ხელმწიფის ერთგულებას და სიყვარულს, როგორც თავისი მოწყალე მამისას. ზერარდიმ ბევრი კეთილი და გრძნობით სავსე სიტყვები წარმოსთქვა, მაგრამ რომ თ. დავით წერეთელი არ ყოფილიყო იქ, ხეირიანი გადამთარგმნელი ვერ იშოვეს. ხალხმა დიდი სიამოვნებით მოისმინა ზერარდის სიტყვა და უგულითადესი მადლობა განუცხადა მას.

საზოგადოების მაგიერათ კიდევ მადლობა განაცხადა თავადმა დავით წერეთელმა და სთხოვა ზერადის ამ უგულითადესი მადლობის გადაცემა გუბერნატორისადმი. წერეთელმა თავის სიტყვაში ცხადათ დაამტკიცა მიუცილებელი საჭიროება სნეული გლეხების დახმარებისა და ექიმობისა. ამასთან გამოსთქვა საჭიროება ხალხთა გონებითი სნეულების ექიმობისა და განკურნების შესახებაც: «ხალხი ერთი ორად მეტად წვალობს, სთქვა მან, გონებითი სნეულებისაგან, უცოდინარობისაგან და არა ნაკლებ საჭიროებს იგი მართებლობის დახმარებას და, იმედია, მოწყალე ხელმწიფე დაგვიარსებს ამ სამკურნალოსათან მეორე გონებით სამკურნალოს ორ კლასიან სასწავლებელს». ამ სიტყვაზე მაზრის უფროსმა ეფიმოვსკიმ უთხრა საზოგადოებას: «აქაურმა საზოგადოებამ იცის, რომ ჯერეთ კიდევ თ. ნესტორ წერეთლის სიცოცხლის დროს იყო აღძრული კითხვა ორ კლასიან ნორმალური სასწავლებლის გახსნაზე. ერთ დროს თითქმის საზოგადოება პირდებოდა ადგილის შეწირვას და სახლის შოვას სკოლისათვის; მაგრამ, სამწუხაროდ, აქაურს საზოგადოებას მას შემდეგ აღარასფერი ზრუნვა გამოუჩენია. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ საზოგადოება მისცემს მართებლობას სკოლისათვის ადგილს და შესაფერ შენობას, მართებლობაც დაარსებს ორ კლასიან ნორმალურ სკოლას დ. საჩხერეში».

შემდეგ სადილზე, რომელიც იყო გამზადებული გუბერნიის ექიმისაგან, იყვნენ მიპატიჟებული ყველა დამსწრე პირები. სადილზე პირველად დალიეს სადღეგრძელო ხელმწიფისა და მემკვიდრისა,— რომელზედაც დიდხანს არ გაწყვეტილა «ურას» ძახილი; შემდეგ მთავარ-მართებლისა, კავკასიაში საექიმო ნაწილის მმართველის რემერტისა, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისა, მაზრის უფროსისა და სხვა პირთა.

სამკურნალოში არის დანიშნული ექიმად ბ. ტერლეცკი. სწორეთ პატიოსანი, გამოცდილი და ფხიზელი კაცი; ექიმთან არის დანიშნული ორი ფელშერი და ერთი ბებია. სამკურნალოში არის ოთხი კრაოტი, ორი ქალის განყოფილებაში და ორი კაცისაში. ამ სამკურნალოში ავათმყოფები უნდა დარჩენ იმ დრომდინ, სანამ ექიმი ავათმყოფობას შეიტყობდეს და გამოიკვლევდეს. შემდეგ ორი ანუ სამი დღისა არც ერთს ავათმყოფს არ აქვს უფლება დარჩეს სამკურნალოში. ავათმყოფს სამკურნალოდამ ხარჯი არ ეძლევა; მხოლოდ წამლები ეძლევათ მუქთათ. მაგრამ ძლიერ ცოტა ფულია და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნული წამლებისათვის; მთელს წელიწადში ორასი მანეთი არის დანიშნული წამლების სასყიდლად: ექიმს არ შეუძლია აიღოს წამლისათვის და თავის შრომისათვის სასყიდელი. რასაკვირველია, როგორ იაფათაც უნდა იყიდონ წამლები, 200 მანეთის წამალი მთელს საზოგადოებას არ ეყოფა.

Ⴄს დაწესებულება არის ახალი შემოღება და ბევრი რამ არის საჭირო გამოითქვას ამის შესახებ, რომ საქმე რიგიანათ და სასარგებლოდ წავიდეს. ამისათვის, იმედია, ამ ჩვენ გამოთქმულ სიტყვებს ადგილობითი ჟურნალ-გაზეთები ყურადღებას მიაქცევენ და თავისი რჩევით დაეხმარებიან ამ პირველ დაწყებით კეთილ საქმეს. ჩვენც ამ საგნის შესახებ გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას შემდეგ №№-ში.

სოფლის მღვდელი.

---

## სასიამოვნო ამბავი.

Ⴗველა ქართველს და ნამეტნურ დასავლეთის მხარის ქართველებს სამღვდელოს და საეროს თავზარი დასცა ყველასაგან პატივცემულის იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის რუსეთის ერთ-ერთ ეპარქიაში გადასვლის ხმამ. ეს დიდი გასაკვირველი არ არის: ვინც კარგად დააკვირდება ყოვლად სამღვდელოს გაბრიელის სამსახურს და ესლანდელი დროების გარემოებას ჩვენში, ის კარგად მიხვდება, თუ როგორი პირი მოაკლდებოდა ჩვენს საზოგადოებას. პირველად ამ ხმებს არ ერწმუნებოდნენ, მაგრამ, როდესაც ამაზე გაზეთებშიაც დაიწყეს წერა, მერე მართლა ეს ხმა სასხუმროდ აღარ მიიღო საზოგადოებამ. ყველანი გაოცებით ჰკითხავდნენ ერთი-ერთმანერთს და უნდოდათ შეეტყოთ ამ ხმის სიმართლე.

30-ს ივნისს მოიყარეს თავი ქუთაისში თავად-აზნაურებმა და სხვათა მრავალთა პირთა და ერთად გუბერნიის, ზოგიერთი მაზრების მარშლების და ქალაქის თავის წინამძღოლობით გაემგზავრნენ ყოვლად სამღვდელოს სასახლისაკენ. აქ ყოვლად სამღვდელოსაგან მართლა დარწმუნდა შეკრებილი საზოგადოება, რომ იგი, ყოვლად სამღვდელო, ამ უკანასკნელს დროს სამწუხარო გარემოებათა მართლა მიიყვანეს იქამდი, რომ განიზრახა თავის სამშობლოს მხარის მოშორება. როცა შეკრებილმა საზოგადოებამ მოისმინა ყოვლად სამღვდელოს სიტყვები, დაარწმუნა იგი, თუ რამდენად შეაწუხა ამ ხმებმა მთელი საზოგადოება და ამიტომ სთხოვა თავის და საზოგადოების მხრით ყოვლად სამღვდელოს, რომ მან არ დასტოვოს იმერეთის ეპარქია. ყოვლად სამღვდელოზე შეკრებილების თხოვნამ ძლიერ კაი შთაბეჭდილება იქონია. ყოვლად სამღვდელომ დაამედა შეკრებილი საზოგადოება და აღუთქვა მას, რომ ის არ მოშორდება თავის სამწყსოს, რომელიც ასე შეუწუხებია მის მოშორების ხმას; მით ნამეტნურ, დასძინა ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა, რომ საქართველოს ეგზარხოსმა, არხიეპისკოპოსმა პავლემაც მირჩია მე, რომ არ დავსტოვო ჩემი ეპარქია. შეკრებილი საზოგადოება, დამედებული ყოვლად სამღვდელოს სიტყვებით და სიამოვნებით აღვსილი, უკან დაბრუნდა.

---

## იმერეთის ეპისკოპოზი გაბრიელ.

Ⴈვნისის 22-დგან ,,Новое Обозрѣніе,,-ში დაბეჭდილია მშვენიერი წერილი ჩვენის უპატივცემულესის და ხალხის საყვარელის მღვდელ-მთავრის Ⴂაბრიელის სურვილის გამო, რომელმაც ყველა ასე დაგვანაღვლა. Ⴀი, ამ წერილის თარგმანი:

«Ⴉავკაზმა» გვაცნობა ყოვლად სამღვდელო Ⴂაბრიელის განზრახვა, რომ თავრობასა სთხოვს იმერეთის ეპარქიის უმფროსობისაგან განთავისუფლოს და დანიშნოს რუსეთის ერთ-ერთ საეპისკოპოზო კათედრაზე.

«Ⴓნდა სცნობდეს კაცი მაღალ-თვისებას ამ ღირსეულის მამა მთავრისას, რომ წარმოიდგინოს რა მწუხარებას აგრძობინებს სულიერ განათლების ჭეშმარიტ მიმდევართა, თუ ეს ამბავი გამართლდა: უნდა სცნობდეს კაცი მისს მაღალ გონებას, მისს კვიდრ, მრავალ მხრით სწავლა მეცნიერებას, მისს მოუბირებელ პატიოსნებას და სიმართლეს, მისს ნამდვილ განდეგილებრივს ცხოვრებას, მისს ოცს-და ხუთის წლის მრავალის დაბრკოლებით და ტანჯვით სავსეს ნაყოფიერს მოღვაწეობას, რომ გულისა და სულის მწუხარებით შებრალდეს სამწყსო, რომელიც ჰკარგავს ჭეშმარიტად იშვიათს მწყემსსა, მოძღვარსა და მასწავლებელსა.

Ⴄპისკოპოზად კურთხევამდე მას იცნობდა რუსეთის მთელი მკითხველი საზოგადოება მისის თხზულებით რუსულ ენაზე Опытная психологія, რომელიც ერთ დროს სახელმძღვანელო წიგნად იყო მიღებული რუსეთის საშუალო და მაღალ სასწავლებლებში და საქებურის ღირსებით დაფასებულ იქმნა ნემეცურის კრიტიკისაგან, თუმცა Ⴃობროლიუბოვი იყვედრებოდა «ქიქოძის დუალიზმსა». ეპისკოპოზობის

წინად იგი იყო მასწავლებელი თფილისის სასულიერო სასწავლებელში და თფილისის ქალების ინსტიტუტში. ეპისკოპოზად კურთხევისა თანავე გორის ვიკარად იყო დანიშნული; მცირეს ხანს შემდეგ იმერეთის კათედრაზედ გადავიდა.

ამ დროდამ იწყება საკუთრად ყოვლად სამღვდელო გაბრიელის მოღვაწეობა. იმერეთის ეპისკოპოზებში, იგი პირველი იყო მაღალის სამღვთისმეტყველო სწავლა-მიღებული რუსეთის სასწავლებლებში და შეუდგა თავის მაღალ თანამდებობის აღსრულებას თავ დაუზოგველის ქრისტიანულ გულმოდგინეობით, რაიცა გვაგონებდა პირველ ქრისტიანეთა მქადაგებელთა. სამწყსოს და მოძღვრების დროს მღვდელთ-მთავარმა თვისი ძალა მიმართა ზნეობითს და სარწმუნოებრივს აღზრდას ხალხისას, რადგანაც მრევლის ცხოვრებას მრავალი უშვერება დასჩემებიყო. სამღვდელოებას თავიდამვე ყურადღება მიაქცია, რადგანაც დროთა ვითარებას აღარ უდრიდა სამღვდელოთა გონების გახსნა, იგი უმოძღვრებდა მაღალ შეგულიანებულის ქადაგებითა და ჯეროვანს სიმაღლეზე დააყენა სასულიერო სასწავლებელი, აღმზრდელი და განმსწავლებელი სამღვდელოთა. ხოლო რაც შეეხება სამწყსოსა, ყოვლად სამღვდელომ როგორც ნამდვილმა ქრისტიანობის მოღვაწემ და ერის მწყემსმა თვისი საეკკლესიო კათედრა ხალხის სამოძღვრებელ და სულიერ განათლების კათედრად აქცია. აი, აგერ მალე ოცდა-ხუთი წელიწადი შესრულდება, რაც ამ კათედრიდამ მოისმის მისი მტკიცე სიტყვა, ყველასთვის მიუფერებელი. მხილებელი საზოგადოების ყოველ გვარ ბიწიერებათა. ქადაგება იგი თითქმის ყოველ წირვის შემდეგ. ამ ქადაგებათ არ ეტყობა ორატორებრივი მეტყველება; ფრაზები აგებულია მარტივად, ხელოვნების უხმარებლად ეფექტების მოსაგვრელად; უფრო მეტს ვიტყვით: იგი თითქმის «მქისე ენისაა», მაგრამ მქისეა, როგორც პავლე მოციქული, რომელზედაც ბოსუეტი დიდის პატივით და აღტაცებით ლაპარაკობს. სხვა-და-სხვა გვარი ღაღადება და პათეოსით წარმოთქმა მის მსმენელებს არ გაუგონია, მაგრამ ნათქვამში რა ძლიერება სჩანს სიტყვისა და რა სიმტკიცე რწმუნებისა! მისს მარტივს მართალს ენას თვისება აქვს გახურებულის რკინისა, როდესაც ეხება მტკივნეულს ადგილს, ხოლო როდესაც მოძღვრებაში ნუგეშის სიტყვაა, მისი მეტყველება, სიწყნარით მჭახეს ხმით გამოთქმული კაცს აღძრულის და მღელვარე გულის სიღრმეში ჩაეჭრება ხოლმე... სიტყვის სიმარტივე, ცხადი გამომეტყველება, თქმულის შინაარსი, რომლის საგანიც ყოველთვის ნამდვილ ცხოვრების მოვლინებაა, მაღალი ჭეშმარიტება სარწმუნოებისა და ზნეობისა, აადვილებს მწყემსთ-მთავრის მოძღვრებას და გასაგონია თვით ყრმათათვისაც. აი, რაშია ძალა მისის სიტყვისა. ამ იშვიათ ღირსებათა გამო, მისნი ქადაგებანი გადასთარგმნა ერთმა ინგლისელმა პასტორმა ინგლისურს ენაზე, რომელიც დიახ მდიდარია საღვთისმეტყველო მწერლობითა.

ადგილის სიმცირე ნებას არ გვაძლევს მოვიტანოთ ეპისკოპოზის ქადაგებათა ნიმუშები. მაგრამ არ შეგვიძლია არ უამბოთ მკითხველებს ერთი მისი ქადაგება, რომელსაც დავესწარით ქუთაისის საკათედრო ეკკლესიაში: გზობა იყო. წირვის გამოსვლისას ყოვლად სამღვდელო დადგა ჯეროვანს ადგილს და სულის წმიდის ლოცვის წარმოთქმის, შემდეგ დიდხანს გაჩერდა. ეტყობოდა ძლიერი მღელვარება სულისა. მერმე სთქვა დაახლოვებით ქვემოხსენებული:

ოც-და-ხუთი წელიწადია გიმოძღვრებთ, ოც-და-ხუთი წელიწადია გაკურთხებ ჩემს საყვარელ სამწყსოსა, და რას ვხედავ? ვხედავ, რომ აქამომდე ეკკლესიაში დგომა ვერ გასწავლეთ, როგორც კი შეშვენის წმიდა ადგილსა. გუშინდელი ალიაქოთი გზის დარიგების დროს მოხდენილი, ამას მიმტკიცებს. სხვა რითი უნდა აღვსნა, თუ არ მით, რომ ცოდვილი ვყოფილვარ და ჩემს მოძღვრებას სარგებლობა არ მოუტანია. მარტო ეს არ არის, მაცნობეს ამბავი, რომ ამ დღეებში ვილაცებს გაუბედნიათ და წმიდა გელათის ტაძარში პაპიროზით ხელში შესულან. რას ნიშნავს ყოველივე ესე? ნუ თუ ჩემნი ცოდვანი ასე დიდნი არიან... ღმერთო შეგვიწყალე...

«ამ ნამდვილ და საყვედრებელ ადგილს შესწყვიტა ქადაგება, ისე, რომ თითქმის ჩვეულებრივი «ამინიც» კი ვერასთქვა. მიბრუნდა გველ ნაკბენსავით და შევიდა საკურთხეველში. ამ მოძღვრობამ დიდი შთაბეჭდილება და გავლენა იქონია მსმენელებზე.

«მიყრუებული ადგილები სვანეთისა, რაჭისა, ლეჩხუმისა, რიონის პირებისა, ტეხურისა, ენგურისა, და ყოდორისა, არა ერთხელ ყოფილა ეპისკოპოზის საქადაგებელ ასპარეზად. ყველგან სასულიერო ქადაგებასთან მღვდელმთავარი მჭერმეტყველად უქადაგებდა მორწმუნეთა ჰუმანურ, კაცობრიულს ურთიერთობის ვალდებულებასა, ერთის სიტყვით იგი გამოდიოდა არა თუ ისე, როგორც მქადაგებელი მხოლოდ სიტყვისა ღვთისა, არამედ გამოდიოდა ისეც, როგორც მისიონერი განათლებისა, მოღვაწე მოქალაქობრიობისა. ვის არ ახსოვს მისი აღმძვრელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა, იმერეთის თავად-აზნაურთა მიმართ ნათქვამი, როდესაც ბატონ-ყმობის გადავარდნაზე ის იყო საქ. მე იწყებოდა და როდესაც ამ საგანზედ თავად-აზნაურებთან ლაპარაკისთვის არა მცირედი გამბედაობა ეჭირვებოდა კაცსა.

«მაგრამ... «ყოველგან, სადაც დიდი სული თვის საიდუმლოს გამოსთქვამს, თავისი გოლგოთაა», როგორცა სთქვა ჰეინემ. ზეშთაგონებულ და ზარდამცემ მისს მოძღვრებას, მოუცილებელ სვლას სიმართლის და ჭეშმარიტების გზაზე, პირ-უთვნელს, მტკიცე მოპყრობას ადამიანთან და დროსთან ოცდა ხუთის წლის მსახურების ჟამს არ შეეძლო არ აღმოეჩინა მის წინააღმდეგ ბოროტის მზრახვანი და მტრები იმ სამწყსოში, რომელიც მას მხურვალებით უყვარდა. იტყოდა თუ არა იგი მდიდარის კაცის მცხედარზე სიტყვას სახარების მუხლზე, «უადვილეს არს აქლემი განვსლად მხვრელსა ნემსისასა...» იტყოდა იგი მაღალ ხარისხოვანის მცხედარზე სიტყვას, მუხლზე: «ამაოა ამაოთა»,—საზოგადოებაში უკმაყოფილება ისმოდა; შეეხებოდა თუ არა ნაკლულევანებას, საზოგადოობრივს ან რაიმე მოდის აზრებს და სხვათა,—მის წინააღმდეგ ჩნდებოდა უკმაყოფილება.

«ფრიად დაშორებული აზრი ჰქონდა ცხოვრების სიბრძნეზე, რომელიც ბრძანებს, «ქვეყანაში მცხოვრებს, ქვეყნიური საქმე ჰმართებსო». ამ აზრის უქონელმა კაცმა რაკი პირველად მოიარა სამეგრელოს ეპარქია და სცნო, რომ მასთან მხლებელი სამღვდელონი ქრთამებს იღებდნენ,—სამეგრელოს ბლაღოჩინებს მრისხანე ცირკულიარი მიუწერა და მეგრელებს უწოდა ზნეობით გახრწნილი ხალხი... აი, კიდევ მიზეზი გაჩნდა უკმაყოფილებისა მთელს საზოგადოებაში.

«მღვდელ-მთავრის ქადაგებით გულ-ნაკლულებს ემხრობოდენ იმისთანა კაცები, ვისაც ეპისკოპოზისაგან წყენა ენახა ან დანაშაულობისათვის საეჯელი მიეღო. მას ესროლეს ერთხელ, ესროლეს ორჯერ. ერთხელ მოუკლეს ახლო-მყოფი თანაშემწე სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, ამ ახლო ხანებში მოჰკლეს სეკრეტარი; უსახელო წიგნების წერას, რომ შენც მოგკლავთო, ბოლო არა აქვს.

«რამდენი შესამეცნებელი და სასარგებლო რამ მოგვცა მისმა ცხოვრებამ და რამდენს კიდევ მოგვცემს. მოვიგონოთ, მაგალითად, მისნი ქადაგებანი, ამ ახლო ხანებში მეორედ დაბეჭდილი და მიღებული თბილისის და ქუთაისის სამღვდელოთა კრებისაგან ეკკლესიებში ბედნიერ-დღეებში საკითხველად; მოვიგონოთ მისი კაცის ღონეს გადამეტებული მეცადინეობა ქუთაისის სემინარიის დაფუძნებისათვის (მან მოსთხოვა სამღვდელოებას მოწყალებასავით 300 ათასი მანათი ამ საქმისათვის; ეგონა, რომ დანარჩენი საჭირო ფული მიეცემა უწმ. სინოდისაგან, მაგრამ უწმ. სინოდის უარის თქმის გამო, მისი გაზრახვა ჩაიშალა); მოვიგონოთ მისი შესანიშნავი წერილები განსვენებულ ევსევი ეგზარხოსთან და თავად გიორგი მუხრან-ბატონთან მიწერილი მისის ბროშურის გამო; მოვიგონოთ ბოლოს მისის ხარჯით სამშობლო გურიის სოფელში ბახვში აშენებული მშვენიერი ეკკლესია და იქვე დაფუძნებული ორ-კლასიანი სკოლა ნივთიერად სამუდამოდ ღონე მიცემული. არც ერთი საჭიროება, არც ერთი მოვლინება არ არის საზოგადო ხასიათის მექონი, რომელსაც იგი არ დახმარებოდეს განათლებულ კაცსავით და კაცთმოყვარე მწყემსსავით.

დარწმუნებული ვართ, რომ ყოვლად სამღვდელო გაბრიელ მოიპოვებს თვისში საკმაო ღონეს, რომ დანაშთენნი თვისის სიცოცხლის დღენი კვალად მოახმაროს ივერიის ეკკლესიის დაობლებულის ვენახის სამსახურსა სანუგეშოდ მის რიცხვ-მრავალ პატივის-მცემელთა და სარწმუნოებისა და განათლების ჭეშმარიტ მოსავთა. «დამთმენი ბოლომდე ცხონდეს»... მოვალეობის აღსრულებამ აღმოუჩინა მას მტრები განხრწნილ საზოგადოების უმეცარ და წამხდარ ნაწილიდგან; მაგრამ ამ ხროვის განძვინებული ავ-გულობა—უნდა გვჯეროდეს და იმედი გვაქვს,—ვერ იზამს, ვერ გააქრობს ლამპარსა სარწმუნოებისასა, 25 წელიწადს მოღვაწეობის მშვიდის სხივით მანათობელს სასარგებლოდ მოყვასთა».

(«დროება»).

# მატიანე

## საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების.

წელს ხონის სამასწავლებლო სემინარიაში კურსი უნდა შეესრულებიათ 11 ყმაწვილს, მაგრამ ამათში მხოლოდ სამისათვის მიუციათ ატესტატი; ოთხი ისევ მესამე კლასში დაუტოვებიათ და ხუთი მოწაფე სამასწავლებლო ოლქის მზრუნველთან არიან წარდგენილნი, რადგან ამ ხუთს მოწაფეს ზოგიერთ საგნებში ცუდი ბალები მიუღიათ და პედაგოგიურ რჩევას ოლქის მზრუნველის ნება დაურთველად ვერ გაუბედია ატესტატების მიცემა მათთვის.

გარდა ამისა პირველ კლასიდამ მხოლოდ სამი მოწაფე გადვიდა მეორე კლასში, დანარჩენებს ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას ხელ-ახალი ეკზამენი აქვსთ დანიშნული; აგრეთვე მეორე კლასიდამ, როგორც ამბობენ, ერთი შაგირდიც არ არის გადასული მესამე კლასში, რომელსაც ეკზამენი არა ჰქონდეს დანიშნული ორს ან სამს საგანში.

***

ჩვენ მივიღეთ ქავთისხევის წმ. გიორგის ეკლესიის კრებულის, ბლაღოჩინის მღვდლის მ. დ. ბარნაბოვისა და დიაკონის ნიკოლოზ თხინვალელისაგან შემდეგი საყურადღებო წერილი:

«უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემულის «მწყემსის» შუამავლობით გულითადი მადლობა განუცხადოთ, შემოწირვისათვის რწმუნებულის ჩვენდამო ქავთიხევის წმ. გიორგის ეკლესიის კრებულის სასარგებლოდ სახნავის მიწისა 1-ს დესიატინისა და 120 ოთხ-კუთხედის საჟენისა, თავადს დიმტრი ნიკოლზის ძეს თარხან-მოურავსა.»

ვბეჭდავთ ამ წერილს იმ იმედით, რომ ჩვენს საქართველოში, იმედია, წამბაძველები აღმოუჩნდება დიმიტრი ნიკოლოზის ძის თარხან მოურავის ყოვლად საქებ საქმეს...

***

საწერეთლოში თ. დავით როსტომის ძეს წერეთელს შავის ქვის თხრის დროს ერთ ადგილს უნახავს ხუთი კერპი, ჩამოსხმული ოქროს მზგავსი მეტალისაგან. ჩვენ ვნახეთ ეს კერპები და მართლაც გასაკვირველნი არიან. ვერ შეიტყვეს ჯერეთ, თუ რომელ დროს უნდა ეკუთვნოდეს ამათი გაკეთება.

***

წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში კურსი შეასრულეს 60 ყმაწვილმა. ამათში მხოლოდ ოცი ყმაწვილი აღმოჩნდა ღირსი თბილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში შესვლისა, ამ წელში საექსარხოსოს ხუთივე სასულიერო სასწავლებლებიდამ, როგორც ამბობენ, ბევრი შაგირდები იგზავნებიან სემინარიაში და, იმედია, რომ ადგილის უმექონლობა არ დააბრკოლებს მათ.

***

რუსულს გაზეთს «კავკაზში» ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ ამბავს:

კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოების ახალი წესდებულებით მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოსს, არქიეპისკოპოსს პავლეს მინიჭებული აქვს უფლება დანიშნოს საზოგადოების რჩევის წევრებათ ოთხი სამღვდელო პირი. ეხლა ჩვენ ვტყობულობთ, რომ გამგეობის ამისთანა წევრებათ საქართველოს ექსარხოსს დაუნიშნავს: სემინარიის რექტორი, დეკანოზი პავლე ჩუდეცკი, სიონის კათედრის დეკანოზი ესტატე ელიევი, კანდელაკი სიონის სობოროისა დეკანოზი ბულღარეევიჩი და სამასწავლებლო ოლქის მზრუნველი ბ. კ. პ. იანოვსკი. ამ წევრებს გარდა ოთხი წევრნი არიან საზოგადო შეკრებილების აღრჩევით, რომელიც მოხდა 9 ივნისს და სახელდობრ: სინოდალნი კანტორის წევრი არხიმანდრიტი მაკარი, უფროსი მღვ. კავკასიის არმიისა დეკანოზი გუმილევსკი, ტაინი სოვეტნიკი ნ. ი. პალიბინი და გენერალ-მაიორი ა. ა. ერნსტი...

## ჟურნალ-გაზეთთაგან.

«დროებაში» ვკითხულობთ შემდეგ გულის შემაძრწუნებელ ამბავს:

«წასულ კვირაში თბილისში მოხდა ერთი ისეთი შემაძრწუნებელი ამბავი, რომლის მოწამე არა თუ თბილისი, გვგონია, სხვა რომელიმე ქვეყანა, კუთხე—დედა მიწისა მვირად ყოფილა. ამ ამბავის გამგონენი დარეტიანებულნი ეუბნებიან ერთმანეთს: «კაცო, რას ამბობ, დასაჯერებელია. გონება ირევა. შეიძლება ასეთი ზარდამცემი ავაზაკობა. გაგონილა ასეთი მოვლენა და სხვ. ეტყობა, ამ ცოდვილს დედა-მიწაზედ ყოველივე მოსალოდნელია და ეს ყოვლის უმსგავსი, აუწერელი ბოროტებაც იმიტომ მოხდა!»

თავის დროზე ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს ქალაქში მცხოვრებ არტემ გალუსტოვის 4-5 წლის ბავშვის—ქალის დაკარგვის ამბავი. ივნისის 12-ს საღამოს 6-ს საათზე დაიკარგა ბავშვი. ამ დღეს და მეორე დღესაც შეიძრენ ავლაბრის მცხოვრებნიც და პოლიციაც, მაგრამ ვერავითარს კვალს ვერ მიაგნეს. ღამე 13-დამ 14 ივნისს გალუსტოვის პატარა ქალი ნახეს ყელში თოკ-წაჭერილი მშობლების ფანჯარასთან ქუჩის მხრით. 14-ს კვალსაც მიაგნეს. დამნაშავედ იცნეს კალატოზი დავით ჯავახოვი, რომელიც გალუსტოვების სადგურშივე სცხოვრებდა. ამ სადგურის ზევით სართულში, ერთს ცარიელს ოთახში აღმოაჩინა პოლიციამ ცხადი ნიშნები საზარელის ბოროტებისა: სისხლის წვეთები, თმები და თოკები... ბოროტ-სულს ჯერ გულ-საგმირი პირუტყვობა ჩუდენია ხუთის წლის ბავშვზე და შემდეგ თოკით წაუღრჩვია იგი. კალატოზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ წამსვე დაატუსაღეს, მას ტანზედაც უპოვნეს გამამტყუნებელი ნიშნები: პერანგი და ამის ამხანაგი სისხლით ჰქონდა გასვრილი და ამას იმით ხსნიდა, რომ ცხვირიდამ სისხლი წამსკდაო, მაგრამ ნიშნები თვალწინ იყო: სხვათა შორის იმ ადგილს, სადაც ბოროტება უნდა მომხდარიყო, უეჭველია, აღმოაჩინეს კიდევ: ბავშვის ტანისამოსი, ტყავის ნაფლეთები ბავშვის ხელისა და გასისხლიანებული ფიცარი, რომლითაც დამნაშავეს დაეფარა დამარხული ბავშვი: ბოროტ-სულს იქვე, ბანზე გაეთხარა საფლავი და ჩაემარხა შიგ თავისი მსხვერპლი. მხოლოდ 13·14 ივნისს ისევ ამოეღო გახრწნილი გვამი თავისის მსხვერპლისა და მშობლების ფანსადგურის ჯარასთან მიეგდო იგი. 15-ს გამომძიებელმა ჩამოართვა ჩვენება დამნაშავეს. იგი გამოტყდა, მხოლოდ იმით განმარტა თვისგან ჩადენილი მკვლელობა, რომ ბავშვის მოტაცების დღეს მას ქალის სახით თვალწინ წარმოუდგენ ავ-სულნი, ეშმაკები, რომელნიც დაღრჩობას ემუქრებოდენ თვით მას, თუ იგი არ მოიტაცებდა და არ დაახრჩობდა გალუსტოვის ბავშვს. ეს იყო მიზეზი, რომ მან განიზრახა ასეთი ბოროტების ჩადენა; ბავშვის გაუპატიურებაზე უარს ამბობდა.

## ჭეშმარიტების აღდგინებისა გამო.

(დასასრული)

ჩამდენს კითხულობ კაცი მამა ნიკოლოზ ხუციევის პასუხს, იმდენად უფრო და უფრო რწმუნდები, რომ მას სასწავლებლის წესდების სრულებით არასფერი არ ესმის და არც სამღვდელოების კრების კანონების გაეგება-რა. მამა ხუციევი ბრძანებს:

მ. ლამბაშიძე ამბობს თავის შენიშვნაში საშინელის განცვიფრებით სამდურავს მაზედ, თუ რატომ მისი წერილი არ წაუკითხე ყრილობას. (თითქმის სხდომა გათავებული გვქონდა და ჟურნალს ვადგენდი, როდესაც ლამბაშიძის გამოგზავნილი წერილი მომცა ერთმა მღვდელმა და მთხოვა წაიკითხე ყრილობაშიო. ამ წერილში ეწერა, შვილი ავად მყავს და მე არა მცალიან მანდ ამოსასვლელადაო, მოკლეთ შინაარსი ამ წერილისა ეს გახლდათ.) გამოტეხილი პასუხი უნდა მოვახსენო მას, რომ მის წერილს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა; დეპუტატები, როგორც მაშინ, ისე ყოველთვის აკლდებიან რამოდენიმე, მაგრამ თავს-მჯდომარისთვის წერილით თავი არავის მოუბეზრებია. ყრილობაზედ დეპუტატები საკმაო რიცხვზედ მეტი იყო და ლამბაშიძე მაინცა და მაინც რაღა საჭირო იქნებოდა და მომეტებულად მისი წერილი ამასთანავე; თვით იმ დღეს მ. ლამბაშიძე ქუთაისში იყო. ეს მე ნამდვილად ვიცი და თუ მას შვილის ავადმყოფობამ ქუთაისში მოსვლა ვერ დაუშალა, ყრილობაზედ ამოსვლა მისი რაღამ დააბრკოლა?

ჩე მრცხვენია თქვენ მაგიერათ, მამაო ნიკოლოზ, ამ თქვენ ნაწერს რომ ვკითხულობ. მე ჩემი მოვალეობა აღვასრულე იმ წერილის მოწერით და თქვენ იძახით: რა საჭირო იყო ამისთანა წერილების გამოგზავნაო! თქვენ, როგორც ჰგავს, სრულებით არ გცოდნიათ უწმდესი სინოდის განჩინებანი, რომლის ძალითაც მე თქვენ წერილი მოგწერეთ და ვალდებულიც იყავით წაგეკითხათ. აი ეს განჩინებანი:

ყრილობის დეპუტატებზე, რომელნიც არ გამოცხადდებიან შეკრებილებაზე არა პატივსადებ მიზეზთა გამო, მოხსენდება მღვდელ-მთავარს, რომელიც, შეხედვისა მებრ, დასჯის მას ფულის გარდახდევინებით ანუ სხვა სასჯელით. (განჩინება უწმიდ. სინოდ. 20 დეკემბრიდამ 1867 წლ.).

ის დეპუტატები, რომელნიც ვერ გამოცხადდებიან შეკრებილებაზე, ვალდებულნი არიან, შეატყობინონ კრებას მოუსვლელობის მიზეზი. (განჩინება უწმიდესი სინოდისა 22 ნოემბრიდამ 1868 წლისა.)

ახლა რას ბრძანებთ, მამაო ნიკოლოზ? ამაზედ რომ თქვენ თქვენ მედავითნეს დაჰკითხოდით, დარწმუნებული ვარ, ისიც კი გაგისწორებდა და ასე არ შერცხვებოდით საზოგადოების წინაშე!...

მამა ხუციევი ამბობს, რომ შეკრებილება სამს აპრილს იყოვო. მე სრულებით ქუთაისში სამს აპრილს არ ვყოფილვარ. მე ვიყავი ქუთაისში პირველს აპრილს, მაგრამ შვილის ავათმყოფობის მიზეზის გამო და ამ მიზეზისათვის დავბრუნდი შინ. მაგრამ ეს არ ესმის მამა ხუციევს და რაღაცა უსაფუძვლო დასკვნები გამოჰყავს თავისებურად ამ შემთხვევიდამ.

მაგრამ აქაც იმალება, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კიდევ გადამეტებული თავმოყვარეობა. მას ეგონა, რომ მის მეტს კაცს ვერ იშოვნიდა სამღვდელოება და მას ხელით აიტაცებდნენ და დასვამდენ თავს-მჯდომარეთ. წაგიხდათ, მამაო დავით, თქვენი ფანდები. თქვენმა წერილმა დაიგვიანა. ჩემს ამორჩევამდის რომ გამოგეგზავნათ, სამღვდელოება შეიტყობდა თქვენს ქუთაისში ყოფნას და ყურადღებას მოგაქცევდათ; მაგრამ, საუბედუროდ, იმ დროს მოვიდა თქვენი წერილი, როდესაც ყრილობას არც ახსოვდა არსებობდით თქვენ სადმე მაშინ, თუ არა.

ზემო ნათქვამიდამ აშკარად სჩანს, რომ აქ ჩემი თავმოყვარეობა კი არა, არამედ თქვენი, მამაო ნიკოლოზ, უცოდინარობა და გაუგებლობა იმალება და იხედება! თუ იმ დროს მოგწერეთ წერილი, როდესაც თქვენ არჩეული იყავით, მაშ ის არ მქონებია სახეში, რომ მღვდლები ჩამოსულიყვნენ და ხელით წაეყვანე. ერთის სიტყვით თქვენი სიტყვები და აზრები ისე არეულ-დარეულნი არიან და ერთი ერთმანეთს ისე ეწინააღმდეგებიან, რომ გაკვირებული თავს ეკითხები, ნუ თუ მართლა ეს კაცი სამასწავლებლო სემინარიის კურსოვნიკია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაგისდათ, მამაო დავით, თქვენი ფანდები. ამ სიტყვებს ისე ალტაცებით ამბობს მამა ხუციევი, ვითომც მეორე ამერიკა მოენახოს!.. ძლიერ მოხარული ვარ, რომ ამ «ზრდილობიანი» სიტყვების მაგიერ მამა ხუციევმა ის სიტყვები არ იხმარა, რომელთაც ის ხშირად ხმარობს ხოლმე!...

მამა ღამბაშიძე ამბობს, ვითომ მე წესიერება არ დამეცვას სხდომაზედ. რა გასაკვირველია, რომ დეკანოზები, ბლაღოჩინები და დაჯილდოვებული მღვდლები მე ისე არ დამემორჩილნენ, როგორც თქვენ. მე გახლავარ, მამაო დავით, ერთი უბრალო მღვდელი ქუთაისისა და თქვენ ბრძანდებით ბლაღოჩინი შორაპნისა, კამილავკიანი და კავალერებიანი. მაგრამ არც ასე იყო საქმე, როგორც თქვენთვის მოუტანიათ ამბავი თქვენს მზვერავებს და გამალმერთებლებს.

ჩამა ხუციევი ამბობს, რომ მე ერთი უბრალო ქალაქის მღვდელი ვარ და, რასაკვირველია, რომ დეკანოზები, ბლაღოჩინები და კავალერებიანი მღვდლები არ დამემორჩილენო. ზესმისთ! თურმე შეკრებილებაზე კამილავკებს და ორდენებს ემორჩილებიან, თორემ ისე წესიერება არ დამყარდება!.. რაღაცა მამა ხუციევის სიტყვებში ჯილდოების და ორდენების მიღების სურვილი გამოსჭვირს. Ուცით, მამაო ნიკოლოზ, რა დამსახურებისათვის ეძლევათ ორდენები? პირის-პირ გნახავთ და გეტყვით. «მზვერავები» და «გამალმერთებელნი» მოგჩვენებიათ თქვენ და ეს მოჩვენება ნამდვილად მიგიღიათ და ასე უადგილოდ გიხმარიათ პასუხში...

თქვენ რას ეძახით წესიერების დაცვას? თუ იმაზედ ამბობთ რომ მღვდლებში გახურებული ლაპარაკი იყო, მე გიპასუხებთ, რომ არც ერთს ყრილობაში თქვენის თავსმჯდომარეობის დროს ამაზედ ნაკლები ხრიანცელი არ ყოფილა და არც ეხლანდელი ყრილობა და თქვენის თავსმჯდომარეობის დროის ყრილობა ერთმანეთს არ ემგზავსებიან.

ჩივაქცევ ამ სიტყვების სიმართლის განსჯას და დაფასებას იმ დეპუტატებისას, რომელნიც ესწრებოდნენ წინანდელ კრებებზე და ეხლაც დაესწრენ.

ზამსწრე დეპუტატებმა სახელდობრ: Ი. წერეთელმა, Დ. Ანთაძემ, Ლ. მაჭავარიანმა. Ს. შენგელიამ, სხირტლაძემ მითხრეს, რომ ხუციევს კრების წესების არასფერი ცოდნებია და ვერ აღასრულა კარგათ თავისი მოვალეობაო. Ეს თქვენი სიტყვებიდამაც აშკარად სჩანს...

«Ჟმისთანა საინტერესო საგანი», ამბობს მამა ნიკოლოზ ხუციევი, თქვენ არასოდეს არ შეგხვედრიათ. რაც ფულები გადავდევით ქუთაისში სემინარიის გასახსნელად ამ ორ წელში, ის დავიბრუნეთო. რა დიდი საინტერესო საქმე ყოფილა! რა დიდი მოფიქრება იყო საჭირო მართლა ამის გადასაწყვეტად! მართლა დიდი გახურებული ლაპარაკი იყო თუმე ამის გარდასაწყვეტად საჭირო! Ⴠველა ვიმედობთ, რომ «კავალერი» გახდები... ხუმრობა ხომ არ არის, ათ მინუტში ამისთანა საინტერესო საქმე გადასწყვიტე! ზაკვირვებული ვართ, რატომ ირიცხებით უკანასკნელ მღვდლად ქუთაისში ამისთანა საქმის გადაწყვეტის შემდეგ...

გაიხსენეთ, მამაო, თუ რა ყვირილი და არეულობა იყო ხოლმე თქვენის თავს-მჯდომარეობის დროს, როდესაც საქმე შეეხებოდა სასწავლებლის რომელიმე მოსამსახურე პირის ჯამაგირის მომატებას სამის თუმნიდგან ათ თუმნამდის. და ეხლა ათ თუმანზედ კი არ გახლდათ ლაპარაკი, საქმე ეხებოდა თითქმის ორმოცდა-ათი ათას მანათს.

Ⴗარწმუნებთ მამა ხუციევს, რომ არასოდეს არეულობა ჩვენს დროს ყრილობაზე არ ყოფილა. Ერთ დროს იყო ცოტა უწესოება და ისიც აი როგორ მოხდა: ერთჯერ ყრილობაზე გამოცხადდა ერთი დეპუტატი, მღვდელი ნიკოლოზ ხუციევი, და დაიწყო მომეტებულად ყვირილი შეკრებილებაზე. სთხოვეს ამ დეპუტატს, რომ წყნარად ელაპარაკნა, მაგრამ ის თავისას ლაპარაკობდა გაუგებლად. შემდეგ ეს დეპუტატი გარეთ გამოიყვანეს და დაითხოვეს სულ, რადგან აღმოჩნდა, რომ ძიების ქვეშ ყოფილიყო და კანონით ძიების ქვეშე მყოფს და შენიშნულს მღვდელს არა აქვს უფლება დეპუტატად ყოფნისა. Თქვენ წარმოიდგინეთ, მამაო ნიკოლოზ, რა ხრიანცელს ჩაიდენდა ეს დეპუტატი, როდესაც სხდომიდგან დაითხოვდნენ! Ამას გარდა რომ არასოდეს არასფერი უწესოება არ ყოფილა, მომყავს ყველა დეპუტატები მოწმად.

ან შეიძლება თქვენ ეძახდეთ წესიერების დაუცველობას, რომ მე დეპუტატები ისე არ ვაწვალე, როგორც თქვენ აწვალებდით წინანდელს სხდომებზედ, მე ერთს დღეს გავათავებინე ამ შესანიშნავი საგნის გარდაწყვეტა და თქვენ-კი სამსა და ოთხს დღეს სულ უბრალო საგანზედ ლაპარაკით ჰქანცავდით სამღვდელოებას; და ან შეიძლება იმაზედ მემდუროდეთ, რომ თქვენსავით ჩემს საკუთარს კაბინეთში არ შევადგინე, როგორიც მე მსურდა, იმისთანა შინაარსის ჟურნალი და სამღვდელოებას ბრმად ხელი არ მოვაწერინე. პატიოსნება ყურში ჩამჩურჩულებდა: როგორც უმეტესობამ გარდაწყვიტოს, ის აქავე დაადგინე და ხელიც ახლავე მოაწერინეო; მე ნამდვილ ისე მოვიქეცი და თუ წაგიკითხავსთ, კანონიც ისე ბრძანებს, და თქვენ-კი, მ. დავით, თქვენს კაბინეთში ადგენდით სურვილისა მებრ თქვენისა ჟურნალებსა და განჩინებასა და მესამე-მეოთხე დღეს მოუტანდით და მოაწერინებდით ხელს. შეიძლება თანახმანიც არ იყვნენ დეპუტატები თქვენის დადგენილის ჟურნალ-პროტოკოლებისა, მაგრამ რა ექნათ საცოდავს დეპუტატებს: სამისა და ოთხი დღის დახარჯულნი და დაქანცულნი, ისეც ღარიბნი დეპუტატნი არც დაეძებდენ რაზედ აწერდენ ხელსა, ოღონდ პატარა დროზედ სახლისაკენ ექნათ პირი. აი, მამაო, წესის დაუცველობას ამას ვეძახი მე.

Ⴡინეთ ვამბობდით ჩვენ და ეხლაც კიდევ გავიმეორებთ, რომ როდესაც კაცი უსაფუძვლოდ ლა-

პარაკობს და სწერს, მაშინ ამ ლაპარაკს ეძახიან ჩერჩეტობას და ნაწერს ნაჩხაბნს. მამა ხუციევის ეს ზემო დაწერილი მიტომ მოვიყვანეთ სრულებით, რომ წაიკითხონ იმ დეპუტატებმა, რომელნიც ესწრებოდნენ შეკრებილებაზე ჩემს თავს-მჯდომარეობის დროს და მათ უწოდონ შესაფერისი სახელი მამა ხუციევს ამისთანა საზიზღარი და მდაბალი ცილის წამებისათვის. Ყოველთვის დეპუტატებს მადლობა გამოუცხადებიათ ჩემთვის საქმის რიგიანად წაყვანისათვის და ამ მადლობას და თავის ყურადღებას იმით მიმტკიცებენ, რომ არც ერთი კანდიდატი არ აურჩევიათ თავს-მჯდომარედ თითქმის ყოველ შეკრებილებაზე. რამდენჯერ დაინიშნეთ, მამაო ნიკოლოზ, და მოემზადეთ კენჭის საყრელად თავს-მჯდომარეობაზე, მაგრამ გახსოვსთ რამდენჯერ გახდით იძულებული უარი გეთქვათ კენჭის ყრაზე. Ამისთანა უსაფუძვლო სიტყვებით მოატყუებთ თქვენ «დროების» ზოგიერთ მკითხველებს, მაგრამ იმ დეპუტატებს, რომელთაც თქვენ ასე იბრალებთ, თავის დროში ვერ მოატყუებთ. Აი ამისათვის მიიქეცი თქვენ თქვენი ცრუ პასუხით «დროების» მკითხველებთან და ფიქრობდით მათ მოტყუებას ისე, რომ თვითონ დეპუტატებს არასფერი შეეტყოთ...

Ერთ დროს სამღვ. ყრილობაზე ვერ წაველი და მიზეზი ჩემი მიუსვლელობისა მომავალ თავს-მჯდომარესაც მივსწერე. სამღვდელოების დეპუტატებმა განაცხადეს, რომ, თუ მე არ მივიდოდი, კრებას არ გახსნიდენ. მე მივილე ყოვ. სამღვდელოსაგან დეპეშა, რომლითაც მიბარებდა ქუთაისში დეპუტატების თხოვნისამებრ. ჩაველ კიდეც. Თუმც ორიოდე ქალაქის მღვდლებს ძლიერ სურდათ თავს-მჯდომარედ ამორჩევა, მაგრამ ჩემს გარდა არც ერთი არ აირჩია დეპუტატებმა. Ეს ფაქტი აშკარად ამტკიცებს მამა ხუციევის მოყვანილ ცილის წამებას, მის ყოვლად უსაფუძვლობას და ცრუობას...

ამ კრებას არავითარი ნაყოფი და გამჭრიახობა არ გამოუჩენიათ, ბრძანებთ თქვენ და რისთვის? მისთვის, რომ სემინარიის დაარსების მაგიერად ქ. ქუთაისში, არ გაგიხსენით სასულიერო სასწავლებელი შორაპანში...

Ამ სიტყვებს რაღაცა ეჭვში შევყავართ. ჩვენ არ გვჯერა, რომ მამა ხუციევი ამ სიტყვების წერის დროს თავის გონებაზე ყოფილიყოს. Ორი სამი სტატია უძღვენით ჩვენს საზოგადოებას მეორე სასწავლებლის გახსნაზე ქალაქს ქუთაისში. Ერთ სტატიაში სასწავლებლისთვის სტრუიცკისსეული სახლიც უჩვენეთ. Ერთი სიტყვა არ გვითქვამს შორაპანში სასწავლებლის გახსნაზე და საიდამ მოელანდა მამა ხუციევს ეს აზრი—ჩვენ ვერ გაგვიგია.

კრებას სრულებით უარი არ განუცხადებია ქუთაისში სემინარიის დაარსებაზედ; იგი თავის დადგენილს ჟურნალში სთხოვს ყოვლად-სამღვდელოს იქონიოს შუამდგომლობა უწმიდეს სინოდთან და უკეთუ სინოდს როდისმე ექნება საშუალება და შეეწევა ქუთაისის (?!) სამღვდელოებას სასულიერო სემინარიის დაარსებაში, იმ შემთხვევაში იგი დატოვებს ფულს სასარგებლოდ მომავალის სემინარიისა იმავე წესით და ზომით თავის ჯამაგირიდგან, როგორც დღემდის დაუტოვებია, საჭირო ჯამის შევსებამდის; დღეს კი, რადგანაც უწმინდესი სინოდი თითქმის უარს გვეუბნება ამ საქმეში, ჩვენი ფული დაგვიბრუნდესო.

Ჩვენს გაუმჭრიახებლობას, მამაო ნიკოლოზ, იმაში კი არ ვხედავთ, რომ სემინარიის გახსნაზე სამღვდელოებამ უარი განაცხადა. Არა; სემინარიის გახსნა სამღვდელოებას მარტო თავის საშუალებით არ შეუძლია. Ფულებიც უკან უნდა დაებრუნებიათ, როგორც სიგელი იყო ამაზე შედგენილი 1881 და 1882 წლებში. ამისათვის არც თქვენ და არც სამღვდელოების დეპუტატებს არავინ გემდურისთ. Თქვენ, რასაკვირველია, როგორც ერთმა უკანასკნელმა ქალაქის მღვდელმა ვერ იქონიეთ გამჭრიახობა ერთ საგანზე, რომელზედაც ყოვლად სამღვდელომ მოგცათ წინადადება...

Ყოველთვის კაცი და ნამეტურ მღვდელი, ფხიზლათ უნდა იყოს და არასოდეს არ ჩავარდება ამდენ ცრუობაში, არც გამჭრიახობა დააკლდება და არც ორდენებს შეეხარბება სხვას. Აბა, მამაო ნიკოლოზ, გახსენით თქვენი გონების საუნჯის კარი, შეადგინეთ სხვა-და-სხვა წიგნები, როგორც გნებავსთ და ეცადეთ მათ ძალით გაყიდვას და ხალხში გავრცელებას და ჩვენ მადლობელი ვიქნებით. ჩვენ არა თუ ჩვენ შედგენილს, არამედ ყველა ქართულ წიგნებს ვყიდით და ვავრცელებთ ხალხში, მაგრამ ეს სასირცხოთ არ მიგვაჩნია... რომ თქვენ თქვენი მოვალეობა კარგად გესმოდეთ, რასაკვირველია, ამისთანა საქციელს არც თქვენ დაგვძრახავთ, მაგრამ რა გაეწყობა! უცოდინარობას მოეკიდოს ცეცხლი!..

მღ. დ. ღამბაშიძე.

შინაარსი: ოფიც. ნაწილი: წესდება საქართველოს საექსარხოსოს მართლ-მადიდებელი მმობისა ყოვ. ღვთის მშობლის სახელობაზე.—წესი შესახებ ქალების მიღებისა თბილისის ეპარქიალურ სასწავლებელში.—გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსაგან.—მართლ-მადიდებელი სასულიერო სასწავლებლის ახალი წესდება, გაგრძელება.—არა ოფიც. ნაწილი: მწარე ფიქრები.—წერილი რედაქტორთან.—მწყემსისაგან მწყემსთადმი წერილის გამო.—ღლეხებისათვის სამკურნალოს გახსნა დ. სახხერეში.—სასიამოვნო ამბავი.—მატიანე.—ჟურნალ-გაზეთთაგან.—ჭეშმარიტების აღდგინების გამო.

Доз. цензурою Кутаисъ, Іюня 30, 1885 г. რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.